# ხელშეკრულება №125

«04« აპრილი 2014 წ.

ქ.თბილისი

## 1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ც[1]” ქვეპუნქტისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) საქართველოს დაზვერვის სამსახური (მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4) IV დირექტორატის V სამმართველოს უფროსის იოსებ ოქრომელიძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში შემსრულებელი) შპს «თეგეტა მოტორსი» (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი N 5) მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. (CPV 501) (იხ.დანართი N1).

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 70(სამოცდაათი) ლარით.

## 4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2014 წლის 4 აპრილიდან 2014 წლის 8 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი N 5.

## 5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

## 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
14.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი იოსებ ოქრომელიძე ხელმოწერა ----------------------
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა) ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:№GE24NB 0330 1002 0016 5022
საინდეტიფიკაციო კოდი: 204469583

შემსრულებელი: შპს «თეგეტა მოტორსი»
გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ხელმოწერა ----------------------
(მიმწოდებლის სახელი, გვარი, თანამდებობა) ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „თიბისი ბანკი" -ს ცენტრალური ფილიალი
კოდი:220101830
ანგარიშსწორების ანგარიში: №**GE80TB06 000000 24467853**
საიდენტიფიკაციო კოდი:202177205

დანართი N1

2014 წლის 4 აპრილის N125 ხელშეკრულებასთან

# ფასთა ცხრილი

| ავტოსატ.საშ. დასახელება/ წლოვანება | მომსახურების ( საქონლის) დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მომსახურების გაწევის ვადა | მომსახურების გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| volkswagen სახ.ნომ. KBK-563 2002წ. | სამუხრუჭე სისტემის მილის შეცვლა | 2 | 15 | 30 | 04.04.14 08.04.14 | ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი N 5 |
| | სამუხრუჭე შლანგი | 2 | 15 | 30 | | |
| | სამუხრუჭე სითხე | 2 | 5 | 10 | | |
| სულ: | | | | 70 | | |

სულ:

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულების შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.თბილისი 4 აპრილი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი იოსებ ოქრომელიძე

*შესყიდვების კოორდინატორი*
IV დირექტორატის V სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი ანა გოგეშვილი

*ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი:*
საქართველოს დაზვერვის სამსახურის
IV დირექტორატის II სამმართველოს
II განყოფილების წამყვანი
სპეციალისტი მიხეილ გორგაძე